

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
მერი ქვრივიშვილი
წევრ(ებ)ი:
დალი ჯაბაური

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☒ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405712082

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი თბილისი, დასახლება ვაშლიჯვარი , მარშალ გელოვანის გამზირი , N 1
საფოსტო ინდექსი	0159
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://buckswood.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	admin@buckswood.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	577 99 29 97

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 0 26 0000877474; 06/07/2026წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	22 .07.2026წ.

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის გამზირი, N1
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის გამზირი, N1
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაშლიჯვრის დასახლება, მარშალ გელოვანის გამზირი, N1

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 22 ივლისს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისში შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების თაობაზე ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისათვის საჭირო მასალებს. შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდში დამატებით გამოთხოვილ იქნა დოკუმენტაცია, რომელთა მიწოდებასაც უზრუნველყოფდა დაწესებულება. ვიზიტისას შეფასდა მესამე სტანდარტი. ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს. დათვალიერდა მატერიალური რესურსი და სკოლის ინფრასტრუქტურა, A ბლოკის მიმდინარე მშენებლობა, შეისწავლეს თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის პერიოდისთვის A ბლოკი მშენებლობის ფაზაში იყო და ვერ დგინდებოდა მისი ექსპლუატაციის საკითხი. ასევე სკოლას არ ჰყავდა შესაბამისი რაოდენობის და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი,რაც ექსპერტების მხრიდან არ შეფასდა დადებითად.

ვიზიტი განხორციელდა თანამშრომლობით და პოზიტიურ გარემოში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
600	**491**

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და საჭირო რესურსები. აღსანიშნავია, რომ ინდიკატორები - 3.1.2.1; 3.4.1.1; 3.4.1.2 და 3.5.1.1 დასკვნის პროექტის მიხედვით შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების შემდგომ ექსპერტთა მხრიდან შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება".

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

დაწესებულება ფლობს შესაბამის მატერიალურ რესურს და სასკოლო ინვენტარს, თუმცა მშენებლობის პროცესის გამო, ვერ დგინდება ინფრასტრუქტურის და მათ შორის სასწავლო რესურსების გამართულობის საკითხი.

გთხოვთ, ასახოთ ინფორმაცია შეცვლილ მისამართზე/ფართზე კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად*	*სკოლამ უზრუნველყოს <u>მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის</u> შესაბამისი კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 4 სექტემბრისა.*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას*	*სკოლამ უზრუნველყოს: A ბლოკის მშენებლობის დასრულება; დასკვნის მოპოვება სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ სამივე კორპუსზე; დასკვნის მოპოვება შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ Aკორპუსთან მიმართებით; ვიდეო- სამეთვალყურეო სისტემების მოწყობა*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		Aკორპუსთან მიმართებით; შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება სადაც Aკორპუსიც გათვალისწინებული იქნება- შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში , არაუგვიანეს 2027 წლის 11 აგვისტოსი.
3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ უზრუნველყოს მეორე სამედიცინო პერსონალის აყვანა შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში, არაუგვიანეს 2026 წლის 11 აგვისტოსი.*
3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლამ უზრუნველყოს A ბლოკი მშენებლობის ეტაპების დასრულება შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში, არაუგვიანეს 2026 წლის 11 აგვისტოსი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***რჩევა***

ინდიკატორი N....		

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები	შესრულების სტატუსი
სკოლას მიეცა რეკომენდაცია: ა)მოიპოვოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა 2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 დეკემბერი პერიოდში. ბ)უზრუნველყოს სკოლის (C ბლოკის) სრულად აღჭურვა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით 2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 სექტემბერი პერიოდში. გ) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სკოლის ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 2024 წლის ივლისი 2024 წლის 10 დეკემბერი;	**არ შესრულდა მხოლოდ „ა“ პუნქტი : (სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება)**
სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნვველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (2024 წლის ივლისი -10 დეკემბერი) უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და დაამტკიცოს ის.	**შესრულდა**
სკოლის მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გაწერილ ვადებში (01აგვისტო-10 სექტემბერი) უზრუნველყოს C ბლოკის მოწყობა სრულად. კერძოდ, მოახდინოს: ა. ოთახების, საერთო მოხმარების სივრცეების, სველი წერტილების, გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა. ბ. ოთახების სასწავლო-მატერიალური რესურსით აღჭურვა. გ. შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვა.	**შესრულდა**

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით (№25-26/009; 04/09/2025 წ.) დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი (ბაქსვუდის კონსტიტუცია), სადაც დეტალურად არის გაწერილი სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და ორგანიგრამა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურული სქემა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დამფუძნებელთა საბჭო, გენერალური დირექტორი, აკადემიური დირექტორი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერი, პერსონალის მართვისა და განვითარების მენეჯერი, სტრატეგიული კომუნიკაციების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, კომუნიკაციების მენეჯერი (ცხელი ხაზი), დაწყებითი განათლების ხელმძღვანელი, კლასის კოორდინატორები, ინკლუზიური განათლების ხელმძღვანელი, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი, ჰაუსმასტერები, საუნივერსიტეტო მრჩეველი, საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ექიმი. ტექნიკური პერსონალი: უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, შესყიდვებისა და მომარაგების მენეჯერი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, სამეურნეო საქმეთა სპეციალისტი, დიასახლისი. სკოლის ფინანსური საქმიანობის დაგეგმვასა და მართვას ახორციელებენ ფინანსური დირექტორი, გადასახადების მონიტორინგის მენეჯერი, მთავარი ბუღალტერი, ფინანსური მენეჯერი და ბუღალტერი. სკოლას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. კვების ბლოკის შეუფერხებელ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ: შეფ-მზარეული, მზარეულები, მზარეულის დამხმარე, ჭურჭლის მრეცხავი, მიმტანი, მცხობელი, სამზარეულოს დამლაგებელი და სასადილო დარბაზის დამლაგებელი. სკოლის შინაგანაწესი და შრომითი

ხელშეკრულებები მკაფიოდ განსაზღვრავს დირექციის, აკადემიური საბჭოს, საგნობრივი დეპარტამენტების, ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომელთა უფლებამოსილებებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით (ბაქსვუდის კონსტიტუცია), რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მათ შორის საგნობრივი დეპარტამენტების სხდომების ოქმების, ასევე თანამშრომლებთან, გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეული და პასუხისმგებელი პირი ასრულებს მისთვის განსაზღვრულ ფუნქციას. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის მოვალეობები და პასუხისმგებლობების განაწილება ხდება ურთიერთთანამშრომლობის გზით. სკოლამ აგრეთვე წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც მოიცავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების აქტივობებს, ადამიანური რესურსის განვითარებას, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. თითოეული აქტივობის შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული (სკოლის დირექცია, საგნობრივი დეპარტამენტები, ჰაუსმასტერები, ჰაუსები და სხვ.), აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააჩნია მიზნობრივად გადანაწილებული ადამიანური რესურსი, რაც ხელს უწყობს პროცესების ეფექტიან მართვასა და დაგეგმილი აქტივობების სრულყოფილ განხორციელებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი (ბაქსვუდის კონსტიტუცია);
- სკოლის წესდება;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- საგნობრივი დეპარტამენტების ოქმები;
- საგნობრივი დეპარტამენტების შუალედური ანგარიშები;
- სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელის შუალედური ანგარიში;
- აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერის სამოქმედო გეგმა:
- აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერის შუალედური ანგარიში;
- საუნივერსიტეტო მრჩევლის სამოქმედო გეგმა და ანგარიში.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ შემუშავებული შინაგანაწესი (ბაქსვუდის კონსტიტუცია), თანამშრომლის კორპორატიული სახელმძღვანელო, მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღწერები, ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის პროცესებს. პერსონალის მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის პრინციპებს, თანამშრომელთა შერჩევის, დასაქმების, ინტეგრაციის, პროფესიული განვითარების, შეფასებისა და მოტივაციის მექანიზმებს. მასწავლებელთა შერჩევისა და დასაქმების პროცესი ხორციელდება სკოლის დირექტორის (№25-26/002 08.06.2026) ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ხოლო ღია კონკურსის შემთხვევაში ვაკანსიები ქვეყნდება მასწავლებელთა დასაქმების ოფიციალურ პორტალზე - https://teacherjobs.ge/.

ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 11 მასწავლებლის კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. აღნიშნული გარემოებები მიუთითებდა, რომ მიუხედავად სკოლაში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტების არსებობისა და ფორმალიზებული პროცედურებისა, მათი პრაქტიკული განხორციელება ცალკეულ შემთხვევებში სრულად არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან მოქმედი პერსონალის რაოდენობა არ შეესაბამებოდა სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას (1200 მოსწავლე).

<u>დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა „მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) გაზრდის მეთოდოლოგია”, რომლის საფუძველზეც მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის, ადამიანური რესურსისა და ფინანსური დაგეგმვის კომპლექსური მიდგომით, ეტაპობრივი პრინციპით. სკოლამ წარმოადგინა არსებული პერსონალის რაოდენობრივი სტატისტიკა სტატუსების მიხედვით (მენტორი მასწავლებელი – 2; წამყვანი მასწავლებელი – 3; უფროსი მასწავლებელი – 20; მასწავლებლობის მაძიებელი – 2; შემცვლელი მასწავლებელი – 1; მოწვეული მასწავლებელი – 19; უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1), ასევე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საათობრივი ბადისა და მოსწავლეთა კონტინგენტის ეტაპობრივი ზრდის შესაბამისად, დაწესებულებაში ამ ეტაპზე აქტიურია 11 ვაკანსია (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, სპორტი, მეორე უცხოური ენა, ტექნოლოგიები, გეოგრაფია, ფიზიკა, მუსიკა).</u>

<u>მიუხედავად წარმოდგენილი მეთოდოლოგიისა და ეტაპობრივი გეგმისა, ვინაიდან ვაკანსიების შევსების პროცესი დასრულებული არ არის და მასწავლებელთა საჭირო რაოდენობის სრულყოფილი დაკომპლექტება ამ ეტაპისთვის ვერ</u>

დასტურდება, აღნიშნული საკითხი უნდა მოგვარდეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2026 წლის 4 სექტემბერი). შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც "არ შეესაბამება", შეფასდა როგორც "მეტწილად შეესაბამება".

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 2026 წლის 4 სექტემბრისა.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის მართვის პოლიტიკა მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მექანიზმებს, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანური რესურსების ეფექტიან მართვასა და საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფაზე. პრევენციული მართვის პოლიტიკის ფარგლებში სკოლა ადამიანური რესურსების საჭიროებებს წინასწარ გეგმავს. დოკუმენტის თანახმად, სკოლა უფლებამოსილია კონკურსი გამოაცხადოს ისეთ პოზიციაზეც, რომელიც კონკურსის დასრულებამდე სავარაუდოდ გახდება ვაკანტური. ასევე, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო წლისთვის დაგეგმილი კლასების რაოდენობისა და პერსონალის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, წინასწარ ხორციელდება შესაბამისი ადამიანური რესურსების მოძიება და შერჩევა. ინტერვენციული მართვის პოლიტიკის ფარგლებში განსაზღვრულია თანამშრომლის დროებითი არყოფნის შემთხვევაში მისი ფუნქციების დელეგირების მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაწერილია უფლებამოსილებების გადანაწილების წესი, ხოლო მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციასა და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლის წინასწარ ცნობილი ან გაუთვალისწინებელი გაცდენის შემთხვევაში სკოლა ოპერატიულად ახორციელებს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირებას, გაკვეთილების გადანაცვლებას ან შესაბამისი მასწავლებლის ჩანაცვლებას, რის შედეგადაც სასწავლო პროცესი არ ფერხდება. ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, სკოლამ გამოავლინა დამატებითი

ექიმის საჭიროება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის პოზიციაზე, რომელიც გამოქვეყნებულია მასწავლებელთა დასაქმების ოფიციალურ პორტალზე (teacherjobs.ge), ასევე ვაკანსიების პლატფორმაზე (jobs.ge). აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ სკოლა დროულად ახდენს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვის პროცესის ორგანიზებას.

ამასთან, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა ორიენტირებულია თანამშრომელთა მხარდაჭერაზე, ზრუნავს მათ პროფესიულ და სამუშაო საჭიროებებზე და ნებისმიერი გამოწვევის ან საჭიროების შემთხვევაში რეაგირებას ახდენს უმოკლეს ვადაში, რაც ხელს უწყობს სტაბილური, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს შექმნას. სკოლა ასევე, ყოველწლიურად ატარებს მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების კმაყოფილების კვლევას, რომლის შედეგებს იყენებს პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირების, სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და მომდევნო სასწავლო წლის აქტივობების დაგეგმვისთვის. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება საჭიროებების ანალიზს, პრევენციულ დაგეგმვასა და დროულ ინტერვენციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით (ბაქსვუდის კონსტიტუცია) და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა შერჩევისა და დასაქმების წესს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტით გაწერილია კონკურსის ეტაპები, კანდიდატებისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შეფასების კრიტერიუმები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და კონკურსში მონაწილეთა უფლებების დაცვის მექანიზმები, რაც ხელს უწყობს ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი შერჩევის პროცესის უზრუნველყოფას. სკოლა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, განსაზღვრავს საკონკურსო ვადებს და დირექტორის ბრძანებით ქმნის საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიებს. კომისიების შემადგენლობა

შეესაბამება საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს.

კონკურსის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მასწავლებელთა დასაქმების ოფიციალურ პორტალზე - https://teacherjobs.ge/, ასევე ვაკანსიების პლატფორმაზე - https://jobs.ge/, რაც უზრუნველყოფს ვაკანსიების საჯაროობას, კონკურენტული გარემოს შექმნასა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების ფართო წრის მოზიდვას. წარმოდგენილი მასალებით ასევე დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა საგნის მასწავლებლის პოზიციებზე.

თუმცა გამოვლინდა 11 შემთხვევა, როდესაც მასწავლებლის შერჩევისას არ იქნა გათვალისწინებული კანონმდებლობით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესაბამისად, შერჩევის პროცედურა გარკვეულ შემთხვევებში არ უზრუნველყოფდა დასაქმების ობიექტურობის პრინციპის დაცვას.

<u>დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ 11 მასწავლებელთან გაფორმდა მოწვეული მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლამ ასევე მიუთითა, რომ შერჩევის პროცესის ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, ვაკანსიები კვლავაც აქტიურად ქვეყნდება ოფიციალურ გვერდებზე (teacherjobs.ge, jobs.ge), და დანართის სახით წარმოადგინა ახალი თანამშრომლების პირადი საქმეები, შესაბამისი ხელშეკრულებებით</u>.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ კადრების შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებული ხარვეზი აღმოფხვრილია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის პირადი საქმეებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ თანამშრომელთა უმრავლესობა აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პერსონალის პირადი საქმეები მოიცავს განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ცნობებს.

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 23 მასწავლებელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ხელშეკრულების ვადად განსაზღვრული იყო 10 თვე, თუმცა ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრული არცერთი გარემოება, რომელიც ხელშეკრულების 1 წელზე ნაკლები ვადით დადების საფუძველი შეიძლება იყოს. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებები არ შეესაბამებდა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, სკოლის ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში აღნიშნულ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები უკვე აღარ იყო მოქმედი, თუმცა მათი შესწავლა შესაძლებელი გახდა პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში დასაქმებული 11 მასწავლებლის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებული 11 მასწავლებლის - ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური); უცხოური ენა (დაწყებითი და საშუალო საფეხური); ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური); გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი საფეხური); მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური) კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამასთან 23 მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გულისხმობდა 10-თვიან ვადას და არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებთან დაკავშირებით სკოლამ გაატარა კომპლექსური ღონისძიებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები: იდენტიფიცირებულ 11 მასწავლებელთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული პირები 2026-2027 სასწავლო წელს დასაქმებულნი იქნებიან მოწვეული მასწავლებლის სტატუსით. 23 მასწავლებელთან კი გაფორმდა განახლებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაასკვნა, რომ დაწესებულებამ სათანადოდ და სრულყოფილად უზრუნველყო როგორც კვალიფიკაციასთან დაკავშირებული, ისე შრომითი ხელშეკრულებების კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ხარვეზის აღმოფხვრა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოებასთან (სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები) ჩატარებული გასაუბრებებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი, მონაწილეობითი და გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ეფექტიან კომუნიკაციასა და სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის კოორდინირებულ მუშაობას.

გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დეპარტამენტების ხელმძღვანელები სისტემატურად თანამშრომლობენ როგორც პედაგოგებთან, ისე ჰაუსმასტერებთან. სკოლაში რეგულარულად, კვირაში ერთხელ, იმართება პრეფექტების შეხვედრები, სადაც განიხილება სასკოლო ცხოვრების აქტუალური საკითხები, მოსწავლეთა საჭიროებები და ინიციატივები. აღნიშნული შეხვედრების შედეგები და მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები ჰაუსმასტერებსა და სკოლის ადმინისტრაციასთან ზიარდება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობასა და მიღებული უკუკავშირის ეფექტიან გამოყენებას.

მოსწავლეებთან გასაუბრებით ასევე დადასტურდა, რომ ჰაუსმასტერები აქტიურად უჭერენ მათ მხარს როგორც აკადემიური, ისე პირადი საკითხების მოგვარებაში. მოსწავლეებმა დადებით პრაქტიკად დაასახელეს შემთხვევები, როდესაც ჰაუსმასტერებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელების ჩართულობით გადაიხედა ერთ-ერთ საგანში ტესტირების რაოდენობა და გადაიჭრა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის ქულების დაზუსტების პროცესი. აღნიშნული მაგალითები ადასტურებს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს თანამშრომლობაზე, ურთიერთპატივისცემასა და პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლაში დანერგილია პერსონალისა და მოსწავლეთა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ასახულია როგორც სკოლის შინაგანაწესში, ისე პერსონალის მართვის პოლიტიკასა და ყოველდღიურ საქმიანობაში. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას.

სკოლის მხრიდან თანამშრომელთა წახალისების არაერთი საშუალება გამოიყენება, მათ შორის: საჯარო შექება და დადასტურებული აღიარება, პროფესიული განვითარების პროგრამების დაფინანსება, საერთაშორისო ტურებსა და პროფესიულ ვიზიტებში ჩართვა, სპეციალური ნომინაციების დაწესება და თანამშრომელთა დაჯილდოება ყოველი სასწავლო

წლის ბოლოს. სკოლის შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს როგორც არაფინანსური (მადლობა, სიგელი), ისე ფინანსური წახალისების ფორმებს (ფულადი ჯილდო, ფასიანი საჩუქარი და ერთჯერადი პრემია), რაც თანამშრომელთა მოტივაციის ზრდასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას ემსახურება.

სკოლის შინაგანაწესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, გამოცდილების გაზიარებასა და პროფესიულ თანამშრომლობას. ამასთან, საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს თანამშრომლობის, ცოდნის გაზიარებისა და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა როგორც დეპარტამენტის ფარგლებში, ისე სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში წარმატებული გამოცდილების გაზიარება სისტემურ ხასიათს ატარებს. თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებსა და სასწავლო ვიზიტებში, ხოლო მიღებული გამოცდილება კოლეგებს უზიარდებათ დეპარტამენტების შეხვედრების, სამუშაო შეხვედრებისა და ერთობლივი განხილვების ფარგლებში.

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია სისტემატურად ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევებს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და მათ საფუძველზე გეგმავს შემდგომ აქტივობებს. მასწავლებლების განმარტებით, სკოლა მუდმივად გამოხატავს მადლიერებას თანამშრომელთა საქმიანობის მიმართ როგორც ოფიციალური მადლობებით, სიგელებითა და სასკოლო ღონისძიებების ფარგლებში საჯარო აღიარებით, ისე პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებით. აღნიშნულის მაგალითად დასახელდა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ მასწავლებელს შესაძლებლობა მიეცა ორი კვირის განმავლობაში მონაწილეობა მიეღო ინგლისში, ბაქსვუდის სკოლაში, პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში.

სკოლამ ასევე წარმოადგინა 2025–2026 სასწავლო წლის შემაჯამებელი ანგარიში, რომლის მიხედვითაც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს იმართება ტრადიციული ღონისძიება – „დაჯილდოების დღე“, სადაც სასკოლო საზოგადოება აჯამებს სასწავლო წლის შედეგებს და საჯაროდ აღიარებს თანამშრომელთა მიღწევებს. ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა ნომინაციაში

ჯილდოვდებიან გამორჩეული თანამშრომლები, მათ შორის: „წლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი“, „წლის ყველაზე ენთუზიასტი“, „წლის ყველაზე ბაქსვუდელი მასწავლებელი/თანამშრომელი“, „ბაქსვუდის წლის აღმოჩენა“, „2025–2026 სასწავლო წლის საუკეთესო აკადემიური ხარისხი“; „სპეციალური ჯილდო UK“; „წლის ყველაზე მხარდამჭერი გუნდი“ და სხვა.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ სკოლაში თანამშრომელთა წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება ხორციელდება როგორც ფორმალური მექანიზმების, ისე ყოველდღიური თანამშრომლობის, ცოდნის გაზიარებისა და კოლეგიური მხარდაჭერის გზით, რაც ხელს უწყობს პროფესიული კულტურის განვითარებასა და სკოლის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი (ბაქსვუდის კონსტიტუცია);
- პერსონალის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები;
- პერსონალის შერჩევისა და დასაქმების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- კონკურსის გამოცხადების შესახებ დირექტორის ბრძანებები;
- ვაკანსიების განთავსების დამადასტურებელი მასალები (teacherjobs.ge, jobs.ge);
- საკონკურსო მასალები და კანდიდატთა შეფასების დოკუმენტები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები (განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები);
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმები და განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები;
- ტრენინგების, სემინარებისა და ვორკშოფების დასწრების უწყისები/სერტიფიკატები;

- ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროგრამის მასალები;
- თანამშრომელთა თვითშეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- მასწავლებელთა/თანამშრომელთა უკუკავშირის შედეგები;
- პერსონალის წახალისებისა და აღიარების დამადასტურებელი მასალები (ნომინაციები, სიგელები, დაჯილდოების მასალები).

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლაში დანერგილია პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული „პერსონალის შეფასების წესით“ და ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს შეფასების პროცესის მიზნებს, პასუხისმგებელ პირებს, შეფასების კრიტერიუმებსა და შედეგების გამოყენების მექანიზმებს. სკოლაში მოქმედებს პერსონალის საქმიანობის შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებასა და სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. შეფასება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და 5-დონიანი შეფასების მოდელის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და თანმიმდევრულობას.

მასწავლებელთა შეფასების პროცესში გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის: საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გაკვეთილზე დასწრება, დეპარტამენტის წევრთა ურთიერთდასწრება, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერის მიერ განხორციელებული დაკვირვებები, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი, თანამშრომელთა უკუკავშირი, უშუალო ხელმძღვანელის შეფასება, მოსწავლეთა აკადემიური შედეგების დინამიკისა და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. ასევე, სკოლა ყოველწლიურად ახორციელებს მასწავლებელთა თვითშეფასების პროცესს, რომლის მიზანია პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება და შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.

შეფასების შედეგები გამოიყენება თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად, ინდივიდუალური განვითარების გეგმების შემუშავებისთვის, წახალისებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობების შესრულების მონიტორინგსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შედეგების ანალიზსა და გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის სისტემური მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულია თანამშრომელთა პროფესიულ ზრდაზე და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე და რეგულირდება ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვას საფუძვლად უდევს მასწავლებელთა თვითშეფასების შედეგები, სხვადასხვა კვლევა და გამოკითხვა, გაკვეთილებზე დაკვირვების შედეგები, ასევე თანამშრომელთა მიერ გამოთქმული პროფესიული საჭიროებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სხვადასხვა კვლევისა და გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე სკოლაში სისტემატურად ტარდება გეგმიური და დამატებითი ტრენინგები შემდეგი მიმართულებებით: „ახალი თანამშრომლების ინტეგრირების პროგრამა“, „ინკლუზიური განათლება“, „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა“, „პირველადი სამედიცინო დახმარება“ და სხვა. ამასთან, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. ამ მიზნით პედაგოგებისთვის ტარდება ტრენინგები 3D მოდელირების, ციფრული საგანმანათლებლო ინსტრუმენტების, გაფართოებული რეალობის (AR) ტექნოლოგიებისა და სხვა ინოვაციური რესურსების სასწავლო პროცესში ინტეგრირების მიმართულებით.

მასწავლებელთა თვითშეფასების კვლევის შედეგების ანალიზით გამოიკვეთა პროფესიული განვითარების ძირითადი საჭიროებები, მათ შორის: სწავლების თანამედროვე მეთოდები, კლასის მართვა, სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება, ინკლუზიური სწავლება, პროექტებით სწავლება, კურიკულუმის შემუშავება და შეფასების სტრატეგიები. აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინებით სკოლას დაგეგმილი აქვს შესაბამისი ტრენინგების განხორციელება. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად ითვალისწინებს თანამშრომელთა

პროფესიული განვითარების საჭიროებებს. მათი განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, განსაკუთრებით სექტემბრის პირველ ორ კვირაში, ორგანიზებულია პროფესიული განვითარების აქტივობები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით სისტემატურად ტარდება ტრენინგები და ვორკშოპები. მათ შორის წარმოდგენილია „ნატა მეფარიშვილის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის“მიერ ჩატარებული ტრენინგის - „ინკლუზია“ დასწრების უწყისები, ახალი თანამშრომლების ინტეგრირების პროგრამის მონაწილეთა სიები, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერის საკითხებზე ჩატარებული ვორკშოპების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ საკუთარი პროფესიული საჭიროებები გაუზიარონ პასუხისმგებელ პირს, რის საფუძველზეც იგეგმება შემდგომი აქტივობები. ასევე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა დიაგნოსტიკური შეფასების შედეგების საფუძველზე დეპარტამენტის ხელმძღვანელები და მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, რაც ადასტურებს, რომ პროფესიული განვითარება ეფუძნება როგორც პერსონალის, ისე მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზს. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, წინასწარ დაგეგმილი და მიზნობრივი აქტივობების მეშვეობით, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებასა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა კარიერულ ზრდასა და პროფესიულ განვითარებას ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკა ეფუძნება თანაბარი შესაძლებლობების, პროფესიული განვითარების, თანამშრომელთა წახალისებისა და კარიერული წინსვლის პრინციპებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა თანამშრომლობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიულ ორგანიზაციასთან, მათ შორის საქართველოს საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA), ა(ა)იპ საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაციასთან და „ნატა მეფარიშვილის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრთან“, რაც თანამშრომლებს აძლევს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების პროგრამებში, ტრენინგებსა და პრაქტიკულ სამუშაო შეხვედრებში.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში კარიერული განვითარების შესაძლებლობები მხოლოდ გარე ტრენინგებში მონაწილეობით არ შემოიფარგლება. თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვს, პროფესიული გამოცდილებისა და საქმიანობის შედეგების საფუძველზე, დაიკავონ უფრო მაღალი პასუხისმგებლობის პოზიციები, მათ შორის გახდნენ საგნობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელები, კლასის კოორიდანორები, ჰაუსმასტერები, მენტორები ან ჩაერთონ სხვადასხვა სამუშაო ჯგუფისა და პროექტის განხორციელებაში. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიული წინსვლასა და კარიერულ განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა თანამშრომელთა ინტეგრაციას უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული, სისტემური და თანმიმდევრული ინტეგრაციის პროცესის მეშვეობით, რომელიც დეტალურად არის აღწერილი სკოლის „ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში“. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცესი, განსაზღვრულია მისი ეტაპები, პასუხისმგებელი პირები, მხარდაჭერის ფორმები და შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო საქმიანობასა და ორგანიზაციულ კულტურაში. ინტეგრაციის პროცესში ახალი თანამშრომელი ეცნობა სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სამუშაო ფუნქცია-მოვალეობებს, შიდა სასკოლო კომუნიკაციის წესებს, რაც უზრუნველყოფს მის ეფექტიან ჩართვას სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობაში. სკოლა აგრეთვე უზრუნველყოფს, ახალი თანამშრომლებისათვის სავალდებულო საორიენტაციო და პროფესიული

ტრენინგების ჩატარებას, მათ შორის: პირველადი დახმარების, ბავშვთა დაცვისა და ძალადობის პრევენციის, ინკლუზიური განათლების, უსაფრთხო და პოზიტიური სასკოლო გარემოს, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით.

ვიზიტის პერიოდში მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას და ინტეგრაციის პროცესში უზრუნველყოფს მათთვის საჭირო მხარდაჭერის დროულ აღმოჩენას. მასწავლებლების განმარტებით, ახალი თანამშრომლები მარტივად ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში, იღებენ როგორც ადმინისტრაციის, ისე დეპარტამენტების ხელმძღვანელებისა და კოლეგების მუდმივ მხარდაჭერას, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მათ ადაპტაციასა და პროფესიულ საქმიანობაში ეფექტიან ჩართვას.

აღნიშნული მექანიზმების განხორციელებით სკოლა ქმნის თანამშრომელზე ორიენტირებულ, უსაფრთხო და თანამშრომლობით სამუშაო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების წარმატებულ ადაპტაციასა და ორგანიზაციული კულტურის გაზიარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა ქმნის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების გარემოს, რაც რეგულირდება შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა იყენებს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური წახალისების მექანიზმებს, მათ შორის: მადლობის გამოცხადებას, სიგელის გადაცემას, ფულად ჯილდოს, ფასიან საჩუქარს, ერთჯერად პრემიას, პროფესიული განვითარების პროგრამების დაფინანსებასა და საერთაშორისო პროფესიულ ვიზიტებში ჩართვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლა თანამშრომელთა ინიციატივებს რეალურად იზიარებს და ხელს უწყობს მათ განხორციელებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ რეგულარულად მონაწილეობენ საჭიროებების კვლევებში, რომელთა შედეგებიც გამოიყენება პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვისას. მათი განმარტებით, სკოლა აფასებს თანამშრომელთა აქტიურობას, საჯაროდ გამოხატავს მადლიერებას, აჯილდოებს სიგელებითა და სხვადასხვა ნომინაციით, ხოლო გამორჩეულ თანამშრომლებს აძლევს საერთაშორისო პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. კერძოდ, სკოლამ ერთ-ერთ მასწავლებელს დაუფინანსა ინგლისში, ბაქსვუდის სკოლის 2 კვირიანი სასწავლო პროგრამა.

აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლაში თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები მხოლოდ დეკლარირებული არ არის, არამედ მხარდაჭერილია კონკრეტული წახალისების, აღიარებისა და განვითარების მექანიზმებით, რაც თანამშრომლებს პროფესიული აქტიურობისა და ინოვაციური იდეების განხორციელების დამატებით მოტივაციას უქმნის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- პერსონალის შეფასების ფორმები/კრიტერიუმები;
- მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარები და შედეგების ანალიზი;
- პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევის შედეგები;

- პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმები/სამოქმედო გეგმები;
- ჩატარებული ტრენინგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ახალი თანამშრომლების ინტეგრირების პროგრამა;
- თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და შინაგანაწესი;
- თანამშრომლობის მემორანდუმები/შეთანხმებები;
- თანამშრომელთა წახალისებისა და მოტივაციის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- თანამშრომელთა წახალისების დამადასტურებელი მასალები (სიგელები, ნომინაციები, მადლობის ფორმები, დაჯილდოების მასალები);
- თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ინიციატივების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- მასწავლებლებთან/პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს. აღნიშნული პროცესი რეგულირდება სკოლის მიერ დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ დოკუმენტით (ბრძანება №24-25/7, 25.06.2024).

დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს სკოლის საქმიანობის ყველა ძირითად მიმართულებას, მათ შორის: სასწავლო პროგრამების, სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაგეგმვას, შეფასებასა და გაუმჯობესებას. თითოეული პროცესი ხორციელდება განსაზღვრული პასუხისმგებელი პირის მონაწილეობით და ეფუძნება პროცესულ მიდგომას, რომლის ფარგლებში ხდება: საქმიანობის დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების შეფასება და გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა.

სკოლაში სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის, მასწავლებლების, საგნობრივი დეპარტამენტების, კლასის კოორდინატორებისა და ჰაუსმასტერების ანგარიშგებების, ასევე სასწავლო პროცესის შეფასების შედეგების საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის ყოველწლიური გადახედვისა და განახლების პროცესს. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ხორციელდება მიღწეული შედეგების ანალიზი, რომლის საფუძველზეც დირექტორი, აკადემიური საბჭო და საგნობრივი დეპარტამენტები გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო გეგმას, სასწავლო რესურსებს, დამატებით საგანმანათლებლო პროგრამებსა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს.

დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე, ადამიანური რესურსების შეფასებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმები, სასწავლო პროცესზე სისტემატური დაკვირვება, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე ტრენინგების დაგეგმვა, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური რესურსების პერიოდული შეფასებისა და განახლების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას. სკოლა სასწავლო პროცესის შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად ატარებს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვებს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და იყენებს მათ სასწავლო, ადამიანური და მატერიალური რესურსების განვითარების, ასევე შემდგომი აქტივობების დაგეგმვისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტ ციკლს, რაც უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და სკოლის საქმიანობის სისტემურ განვითარებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის №24-25/22 ბრძანებით დამტკიცებული აქვს დოკუმენტი- „მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, რომელიც აღწერს სკოლაში მიმდინარე ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესებს, განსაზღვრავს თითოეული პროცესის პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების წესს. სკოლის მმართველობითი პროცესებია: სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესებია: მოსწავლეთა კორპუსის მართვა; კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლის დამხმარე პროცესებია: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება და სხვა პროცესები. აღნიშნული პროცესები დეტალურად არის აღწერილი სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, მიმდინარე პროცესების ჩამონათვალსა და მათ აღმწერებში, ასევე სხვა შიდა რეგულაციებში. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს თითოეული პროცესის მიზანს, განხორციელების წესს, პასუხისმგებელ პირებსა და მონიტორინგის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის სისტემურ და ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ (ბრძანება № 25-26/006; 04/09/2025 წ.) დოკუმენტი უზრუნველყოფს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლებისა და კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების/განცხადებების განხილვის გამჭვირვალე, სამართლიან და კანონმდებლობასთან შესაბამის სისტემას. წესი განსაზღვრავს საჩივრისა და განცხადების წარდგენის წესს, განხილვის ეტაპებსა და ვადებს, გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებული საჩივრების განხილვის წესს, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის ფორმებს, პირადი მონაცემების დაცვის პრინციპებს, ასევე სკოლის საზოგადოებისათვის აღნიშნული წესის გაცნობისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლაში შექმნილია საჩივრების განხილვის მკაფიოდ რეგულირებული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების უფლებების დაცვასა და გადაწყვეტილებების ობიექტურ განხილვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლაში მოქმედებს პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, შრომითი ხელშეკრულებებით, ასევე პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებებსა და მოვალეობებს, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებსა და პროცედურებს, ასევე უფლებების დაცვისა და მათი რეალიზების მექანიზმებს. სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დისკრიმინაციის გარეშე, ხოლო მათი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა უზრუნველყოფილია ხელშეკრულებების გაფორმებისას, აგრეთვე, საორიენტაციო შეხვედრებისა და სკოლის შინაგანაწესის გაცნობის გზით. კლასის კოორდინატორები და ჰაუსმასტერები მშობლებთან პერიოდულად ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება მოსწავლეთა უფლებები, ვალდებულებები და სასკოლო წესები.

დასაქმებულებთან და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურადაა განსაზღვრული მათი უფლება-მოვალეობები, ხოლო სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება, რომ მხარეები გაეცნენ როგორც ხელშეკრულების პირობებს, ისე შინაგანაწესს. ამასთან, სკოლას თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობის ფორმებიც, რაც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დაცვას. სკოლის შინაგანაწესი საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მისი გაცნობის შესაძლებლობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტიანი და პრაქტიკაში დანერგილი მექანიზმები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები;
- სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, მათი შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მასალები;
- სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მასალები;
- მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა გამოკითხვები, უკუკავშირის შედეგები და მათი ანალიზი;
- სკოლის საჩივრის/განცხადების განხილვის წესი;
- სკოლის ვებგვერდზე განთავსებული მარეგულირებელი დოკუმენტები (შინაგანაწესი, საჩივრის განხილვის წესი და სხვა);
- სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომლებთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და მოვალეობები;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ თანამშრომლებთან და მშობლებთან გაფორმებული შეთანხმებები;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის მართვასა და ადმინისტრაციულ პროცესებზე პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების განმსაზღვრელი დოკუმენტები;
- საგნობრივი დეპარტამენტების, აკადემიური საბჭოსა და სხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სამუშაო გეგმები და სხდომების ოქმები;
- სკოლის წარმომადგენლებთან, პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (№ 24-25/040; 01/09/2024 წ.), რომელიც განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის, მათ შორის: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, რაც უზრუნველყოფს სკოლის მართვის პროცესების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები) გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მისაღებად მრავალფეროვან საკომუნიკაციო მექანიზმებს იყენებს. ამ მიზნით ფუნქციონირებს სკოლის ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური ქსელები (Facebook; Instagram), ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, ინდივიდუალური შეხვედრები, მშობელთა კრებები, ღია კარის დღეები და ელექტრონული ჟურნალი (SchoolBook).

აღსანიშნავია, რომ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა მშობლებს ავსებინებს კითხვარს, რომლის საფუძველზეც განსაზღვრავს მათთვის სასურველ საკომუნიკაციო არხებს და კომუნიკაციას აღნიშნული არხების საშუალებით წარმართავს. სემესტრში ორჯერ იმართება ღია კარის დღე, სადაც მშობლებს შესაძლებლობა აქვთ შეხვდნენ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მიიღონ ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები. სკოლა ასევე რეგულარულად ატარებს მშობელთა კმაყოფილების კვლევებს, ხოლო ელექტრონული პლატფორმა - “SchoolBook” უზრუნველყოფს მშობლების მუდმივ ინფორმირებას მოსწავლის დასწრებისა და აკადემიური მიღწევების შესახებ. მიღებული უკუკავშირი გამოიყენება სასწავლო პროცესისა და მართვის გადაწყვეტილებების გაუმჯობესებისთვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების ეფექტიანი და პრაქტიკაში დანერგილი სისტემა,

რომელიც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და სკოლის მართვის პროცესების უწყვეტ გაუმჯობესებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებასა და მართვის პროცესებში ჩართულობა, რაც რეგულირდება სკოლის შიდა დოკუმენტებით და პრაქტიკაში ხორციელდება სხვადასხვა მმართველობითი და საკონსულტაციო მექანიზმის მეშვეობით. სკოლაში ფუნქციონირებს აკადემიური საბჭო, რომელიც აკადემიური დირექტორის ხელმძღვანელობით განიხილავს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, აფასებს მიმდინარე პროცესებს და უზრუნველყოფს აკადემიური საქმიანობის კოორდინაციას. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: სკოლის აკადემიური დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), დაწყებითი განათლების კოორდინატორი; ინკლუზიური განათლების ხელმძღვანელი, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელი, აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, რვა საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიური პროცესების მონიტორინგის მენეჯერი, პერსონალის მართვისა და განვითარების მენეჯერი, სტრატეგიული კომუნიკაციების მართვის მენეჯერი.

სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს სკოლაში მოქმედი საგნობრივი დეპარტამენტები, რომლებიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. საგნობრივი დეპარტამენტები წარმოადგენს აკადემიურ ერთეულებს, რომლებიც კოორდინაციას უწევენ შესაბამისი საგნობრივი მიმართულებების სწავლებას და აერთიანებენ სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლებს. დეპარტამენტების ფარგლებში მასწავლებლები მონაწილეობენ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების, საგნობრივი პროგრამების განვითარებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. დეპარტამენტები უზრუნველყოფენ მასწავლებელთა თანამშრომლობას, გამოცდილების გაზიარებას, პროფესიული საჭიროებების გამოვლენასა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას. მათი საქმიანობის ფარგლებში

განიხილება საგნობრივი სტანდარტები, სასწავლო რესურსები, შეფასების მიდგომები, მოსწავლეთა საჭიროებები და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზები, ხოლო მიღებული რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღებას წინ უძღვის საკითხების განხილვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში. ყოველდღიურად ტარდება აკადემიური დირექტორის, დეპარტამენტების ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილება მიმდინარე საკითხები, იგეგმება აქტივობები და ხდება ინფორმაციისა და უკუკავშირის გაზიარება. წარმოდგენილი ოქმები, სამოქმედო გეგმები და გასაუბრებების შედეგები ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა არ ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და მათი მოსაზრებები და რეკომენდაციები გამოიყენება სკოლის საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდები, როგორც ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის საშუალებები;
- მშობელთა, მოსწავლეთა და თანამშრომელთა გამოკითხვები, კითხვარები და მათი შედეგების ანალიზი;
- მშობელთა კმაყოფილების კვლევის მასალები;
- ელექტრონული პლატფორმა („SchoolBook“) და მისი გამოყენების დამადასტურებელი მასალები;
- სკოლის შინაგანაწესი და მართვის სტრუქტურის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- აკადემიური საბჭოს საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები;

- საგნობრივი დეპარტამენტების დებულება/საქმიანობის აღწერა, სამუშაო გეგმები და სხდომების ოქმები;
- სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად „შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი“ ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- სკოლას შემუშავებული აქვს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;
- სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, მათზე დაკისრებული მოვალეობის ფარგლებში უზრუნველყოფენ დაცვის თანამშრომელები, რომლებიც ექვემდებარებიან ტექნიკურ დირექტორს;
- სკოლის ეზო არის შემოღობილი და დაცული;
- B და C ბლოკი აღჭურვილია უსაფრთხოების ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით (16 გარე და შიდა 97 გამოყენების კამერა), რითაც სკოლის სრული პერიმეტრი კონტროლდება, მათ შორის B და C ბლოკის შიდა სივრცეები. ვიდეოკონტროლს მუდმივად ახორციელებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებმოსილი პირი. <u>რაც შეეხება A ბლოკი მშენებლობის ეტაპზეა, შესაბამისად ვიდეო სამეთვალყურეო კამერები არაა დამონტაჟებული;</u>
- შემუშავებულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი;
- სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან;
- დაწესებულებაში შემოსული პირების აღრიცხვა ხორციელდება სკოლის ვიზიტორთა ჟურნალში, კონტროლდება გაკვეთილის დროს მოსწავლეთა უნებართვოდ გასვლა სკოლის შენობიდან;
- B და C ბლოკთან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, სართულებზე განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. <u>რაც შეეხება A ბლოკს, მშენებლობის ფაზაშია და მასზე ვერ ვრცელდება აღნიშნული გეგმა;</u>
- B და C ბლოკში ხანძარსაწინააღმდეგო არჭურვილობა დამონტაჟებულია. სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, შენობა - ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით სკოლა ელოდება A ბლოკის დასრულებას, რათა სრული კომპლექსი სისტემურად მოიყვანოს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში, რის შემდეგაც შესაბამისობის დასკვნის უზრუნბელსაყოფად მიმართავს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

ამასთან სკოლამ წარმოადგინა გენერალური დირექტორის ბრძანება №25-26/011 08/09/2025 წ. „სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციის, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის, ევაკუაციის ორგანიზებისა და სახანძრო უსაფრთხოების ზომების (ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის) დამტკიცების შესახებ“;

- სკოლამ წარმოადგინა B და C ბლოკის „შპს რეალექსპერტ“ - ის დასკვნა შენობების მდგრადობაზე, დასკვნის თანახმად, სკოლის შენობები უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის, თუმცა A ბლოკის მდგაროდობის დასკვნა ამ ეტაპზე სკოლამ ვერ წარმოადგინა;

<u>ვინაიდან სკოლას არ აქვს:</u>

- <u>დასრულებული მშენებლობა A ბლოკის;</u>
- <u>დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ არცერთ კორპუსზე;</u>
- <u>დასკვნა შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ Aკორპუსთან მიმართებით;</u>
- <u>ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემები Aკორპუსთან მიმართებით;</u>
- შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა სადაც <u>Aკორპუსიც გათვალისწინებული იქნება.</u>

<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული სამუშაოები შესრულდება გეგმით განსაზღვრული ვადების შესაბამისად (2027 წლის 11 აგვისტომდე) . შესაბამისად ონდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ფასდებოდა როგორც „არ შეესაბამება“ პოზიციის გაზიარების შემდგომ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.</u>

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს - A ბლოკის მშენებლობის დასრულება; დასკვნის მოპოვება სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ სამივე კორპუსზე; დასკვნის მოპოვება შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ A კორპუსთან მიმართებით; ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების მოწყობა A კორპუსთან მიმართებით; შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის მოპოვება სადაც A კორპუსიც გათვალისწინებული იქნება, შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში (2027 წლის 11 აგვისტომდე).

ინდიკატორის მოთხოვნა_მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა გენერალური დირეტორის № 25-26/007, 04/09/2025 წ. ბრძანებით დამტკიცებული „სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია პირველ სართულზე, კაბინეტში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, ცალკე სივრცეა გამოყოფილი გასინჯვის პრივატულობისთვის, სადაც განთავსებულია ასევე სველი წერტილი ნიჟარით და მაცივარი მედიკამენტების შესანახად. ძირითად სივრცეში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, კარადა, სადაც განთავსებულია პირველადი მოხმარების მედიკამენტები და პერსონალური კომპიუტერი.

აღსანიშნავია რომ სკოლას ექსპერტთა ვიზიტამდე ჰყავდა ერთი ექიმი, რომლის კვალიფიკაციაც შესაბამისობაში იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისი მოთხოვნებთან. ვინაიდან მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლას ევალება კიდევ ერთი სამედიცინო პერსონალის აყვანა ვიზიტისას წარმოადგენილ იქნა მეორე ექიმის საკონკურსო განაცხადი.

<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად განმარტა, რომ გამოცხადებული აქვს ღია კონკურსი სამედიცინო პერსონალის მეორე ვაკანტურ პოზიციაზე აყვანის თაობაზე. ამასთან შესაბამისობის გეგმით გაწერა ვადები, სადაც სკოლის მეორე სამედიცინო პერსონალით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2026 წლის 11 აგვისტოსი. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ფასდებოდა როგორც „არ შეესაბამება“ პოზიციის გაზიარების შემდგომ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.</u>

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს მეორე სამედიცინო პერსონალის აყვანა შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში, არაუგვიანეს 2026 წლის 11 აგვისტოსი.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლამ წარმოადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ შეთანხმებული ევაკუაციის გეგმა, რომელიც გამოკრულია სკოლის B და C ბლოკის ტერიტორიაზე. სკოლის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრებიც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“, აღნიშნული დოკუმენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულია.

ამასთან სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ასევე უზრუნველყოფს შინაგანაწესისა და სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტების შესაბამისად, აღნიშნული დოკუმნეტების თანახმად, დაცვის სამსახურის ერთ-ერთი მოვალეობაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

სკოლას ასევე დირექტორის №25-26/002, 02/09/2025 წ. ბრძანებით დანიშნული ჰყავს უსაფრთხოებაზე, საზოგადოებრივი წესრიგისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემაზე პასუხისმგებელი პირი .**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი დოკუმენტები და სტრუქტურული ერთეულები:

- კლასის კოორდინატორები ეფექტურად ახორციელებენ პრევენციულ მუშაობას - ტარდება სადამრიგებლო საათები, რომლებიც მიმართულია შემდეგ თემებზე: „მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“, „უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია“, „დისკრიმინაციის დაუშვებლობა“, „ბულინგი“, „პიროვნული და სოციალური განვითარება“ და სხვა;
- ინკლუზიური განათლების კოორდინატორის მოვალეობაა ხელი შეუწყოს სსსმ მოსწავლეების სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვას;
- ,,ადაპტაციის წესში“ გაწერილი აქტივობები დახმარებას უწევს არამარტო პირველ კლასელებს და ახალ მოსწავლეებს, არამედ ყველა მოსწავლეს სასწავლო გარემოში ადაპტირების პროცესში;
- უსაფრთხო სასკოლო გარემოს ურუნველყოფს ასევე შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: შინაგანაწესი; მოსწავლის ადაპტაციის წესი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებთან საუბრისას მოსწავლეები და მშობლები ხაზს უსვამდენენ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობას სკოლაში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

გენერალური დირექტორის № 25-26/004 02/09/2025 წ. ბრძანებით დამტკიცებულია „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის, და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანების შესაბამისად და მიზნად ისახავს რეკომენდაციის მიერ დასახული ამოცანების ლოკალურ დონეზე გადაწყვეტას. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს საშტატო განრიგით განსაზღვრული დიასახლისები და სკოლის ექიმი. ექიმი ზედამხედველობას უწევს სკოლის სანიტარიულ ჰიგიენური პირობების შესრულებას, აწვდის ინფორმაციას დიასახლისებს დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული

დეტალების შესახებ. ასევე ზედამხედველობას უწევს სკოლაში სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაცვას. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე სივრცე. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება იზოლირებულად. არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის, ხოლო შენობის პირველ სართულზე პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის არსებობს სანიტარული კვანძი დამოუკიდებელი შესასვლელით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას დასაქმებული ყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და დირექტორის №24-25/00,7 026/06/2024 წ. ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“, წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მიხედვით მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე. წესი გამოიყენება სკოლის მიერ მოსწავლეების, მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა დასაქმებული თანამშრომლების მონაცემთა

დამუშავების პროცესში და ვრცელდება სკოლის მიერ მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავებაზე. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები, უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და „schoolbook"-ის ელექტრომული პროგრამა უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისა და დაზიანებისგან, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ ბრძანებით განსაზღვრულ უფლებამოსილ პირებს.

სკოლა ასევე ინფორმაციის დაცვის უზრუნველსაყოფად იყენებს ანტივირუსულ პროგრამებს, ასევე ფილტრს უსაფრთხო და დაცული საიტებით სარგებლობისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და მიღებულ შედეგებს იყენებს ამ მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით. შემუშავებულია „ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი". დოკუმენტით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთა, ისე პერსონალის უსაფრთხო გარემოში ყოფნას.

სკოლა თავის საქმიანობას ასევე ახორციელებს მონიტორინგის ფორმით, რათა მიმდინარე პროცესები წარიმართოს შეუფერხებლად. სკოლაში დელეგირებულია უფლებამოსილებები ადმინისტრაციულ, აკადემიურ თუ ტექნიკურ პერსონალზე, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში, თავიანთი კვალიფიკაციის, უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების მიზნით, მონიტორინგს უწევენ როგორც სასწავლო პროცესს, ასევე, სკოლაში მიმდინარე ადმინისტრაციულ თუ სხვა საკითხებს. ტექნიკური უსაფრთხოების მუდმივი მონიტორინგის

ანგარიშებში ვხვდებით სკოლის შენობის, ლაბორატორიების და სპორტული სივრცეების უსაფრთხოების სტანდარტებთან მიმართულ შესაბამისობის სქემას, აღნიშნული ანგარიში ეცნობა სკოლის დირექტორს და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება პრევენციული ღონისძიებები.

ასევე, სასკოლო საზოგადოების ფიზიკური უსაფრთხოებისთვის პერიოდულად ხორციელდება სახანძრო სიმულაციები, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზები შესაბამისად იდგმება შესაბამისი ნაბიჯები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ყოფნას.დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“-ბრძანება № 25-26/007, 04/09/2025 წ;
- „ლაბორატორიით სარგებლობის წესი- ბრძანება N24-25/009;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა “შეთანხმება # MIA 8 24 02318814, 31/07/2024წ.;
- „დასკვნა შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ -შპს „რეალექსპერტი“(B დაC ბლოკის);
- “სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციის, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის, ევაკუაციის ორგანიზებისა და სახანძრო უსაფრთხოების ზომების (ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის) დამტკიცების შესახებ”-ბრძანება № 25-26/011 08/09/2025 წ;
- „სკოლაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“- ბრძანება № 25-26/007, 04/09/2025 წ;
- შინაგანაწესი;
- „მოსწავლის ადაპტაციის წესი“- ბრძანება №24-25/4 , 25/06/2024წ.;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკა“- ბრძანება №24-25/007 026/06/2024 წ;
- „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“-ბრძანება N 25-26/013, 17/12/2025 წ.;
- „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები“ -ბრძანება № 25-26/004 02/09/2025 წ.;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ დირექტორის ბრძანება №24-25/00,7 026/06/2024 წ.;
- თანამშრომელთა ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლება მარშალ გელოვანის N1 -ში. საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერის მიხედვით სკოლის მფლობელობაში არსებული დაზუსტებული ფართი წარმოადგენს 9100 კვ.მ. (ს.კ. 01.10.10.025.118. მესაკუთრე შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისი). სკოლის საერთო ფართი შეადგენს 5718.6 კვ.მ-ს, აქედან B ბლოკის საერთო ფართია 3738.2 კვ.მ ხოლო C ბლოკის 1980.4 კვ.მ. სკოლაში მიმდინარეობს A ბლოკის (მესამე შენობის) მშენებლობა, რომელიც ვიზიტის პერიოდისათვის ძირითადად კარკასულ და გადაუხურავ მდგომარეობაში იყო. სკოლის

წარმომადგენლების განცხადებით სექტემბრისთვის უზრუნველყოფილი იქნება A ბლოკის- მშენებლობის დასრულება, გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები და პირველი სართულის სრულად კეთილმოწყობა და აღჭურვა სასწავლო ინვენტარით. რაც შეეხება საბოლოო ექსპლუატაციას, სკოლა გეგმავს 2026-2027 სასწავლო წლის განმავლობაში სრულიად დაასრულოს შენობა და მიმართოს ექსპლუატაციისათვის შესაბამის უწყებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილია გეგმა-გრაფიკი, რომლითაც გაწერილია მშენებელობის და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაობის დასრულულების განრიგი. აღნიშნული შენობა საკლასო ოთახებს ითვალისწინებს და საერთო სარგებლობის სივრცეები ძირითადად B ბლოკშია განთავსებული ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ დაკავშრებულია C ბლოკთან და ერთ მთლიანობას წარმოადგენს. B ბლოკი 4 სართულიანია. პირველ სართულზე განთავსებულია დაცვის ოთახი, საიდანაც ხორციელდება ვიდეოკონტროლი, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, ოთახი აკადემიურ საქმეთა კოორდინატორისთვის, სასადილო და სველი წერტილები ვაჟებისა და გოგონებისთვის, ასევე ადაპტირებული სსსმ მოსწავლისთვის; II სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, ჰაუსმასტერების სამუშაო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სასკოლო ცხოვრების ხელმძღვანელის ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ადაპტირებული სველი წერტილები; III სართულზე-საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, ადაპტირებული სველი წერტილები; IV სართულზე-საკლასო ოთახები, ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი. C ბლოკში სრულად განთავსებულია საკლასო ოთახები, ადაპტირებული და არაადაპტირებული სველი წერტილები. სკოლამ წარმოადგინა 1200 მოსწავლეზე გათვილილი სასკოლო ინვენტარის შეძენის მტკიცებულებები: 1340 სასკოლო მერხი და სკამი; 87 კომპიუტერი; 21 სმარტ დაფა; 8 პრინტერი.
სკოლას აქვს საჭირო სპორტული ინვენტარით აღჭურვილი, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი.

<u>ვინაიდან ვიზიტის პერიოდში A ბლოკი მშენებლობის ფაზაში იყო და სკოლის მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (1200 მოსწავლე), აღნიშნული ფართი აუცილებლობას წარმოადგენდა, არსებული მდგომარეობით კი ვერ დგინდებდა მისი ექსპლუატაციის საკითხი, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც იკითხება, რომ სკოლა A ბლოკი მშენებლობას დაასრულებს ეტაპობრივად, კერძოდ - 2026 წლის 10 სექტემბრამდე სკოლა უზრუნველყოფს პირველი სართულის დასრულებას სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის, ხოლო შენობის საბოლოოდ დასრულების</u>

ვადად მითითებულია 2026 წლის 11 აგვისტო. შესაბამისად ონდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე ფასდებოდა როგორც „არ შეესაბამება“ პოზიციის გაზიარების შემდგომ შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს A ბლოკის მშენებლობის ეტაპების დასრულება შესაბამისობის გეგმით დათქმულ ვადებში, არაუგვიანეს 2026 წლის 11 აგვისტოსი.

ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლას დამტკიცებული აქვს „ლაბორატორიით სარგებლობის წესი“ ბრძანება №25-26/004 02/09/2025 წ., ასევე „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ბრძანება №24-25/023 01/07/2024 წ. - დოკუმენტებში განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და თანამშრომლების მიერ რესურსების გამოყენების პირობები და პროცედურები. ვიზიტისას დადასტურდა, რომ ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში და უზრუნველყოფს სკოლის საჭიროებებს. ბიბლიოთეკის მუშაობის წესები, პასუხისმგებელი პირი, სამუშაო გრაფიკი და ხელმისაწვდომობა უცვლელად ინარჩუნებს სტანდარტთან შესაბამისობას. სკოლაში მრავალფეროვანი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცე (კომპიუტერული ლაბორატორია), გამოიყენება როგორც სწავლების, ისე საინჟინრო რესურსების შექმნისა და ინფორმაციული მუშაობისთვის. სკოლის შენობაში არსებული სპორტული დარბაზი ასრულებს ფუნქციურ დანიშნულებას. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც უზრუნველყოფილია სათანადო წიგნადი ფონდით (283 ერთეული). შემუშავებულია „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკაში დაცული

რესურსების გამოყენებასა და სარგებლობას. აღნიშნული წესი სრულად შეესაბამება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონს და სკოლის შიდა დებულებებს. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოდ არის გამოკრული ბიბლიოთეკაში, რაც ხელს უწყობს ყველა დაინტერესებული მხარისთვის მის ხელმისაწვდომობას. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ ისინი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობას, ასევე აწარმოებს ელექტრონულ კატალოგს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთა უსაფრთხო და შეუფერხებელ გადაადგილებას, კერძოდ - B ბლოკის შენობაში სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას აქვს დამონტაჟებული ლიფტი, B და C ბლოკები დაკავშირებულია ერთანეთთან, რაც თავისთავად უზრუნველყოფს C ბლოკის ადაპტირებას შშმ პირებზე. მოწყობილია ასევე ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე. შესაბამისად, სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, ლაბორატორია, ეზო) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. ყველა ბლოკის ყველა სართულზე გათვალსიწინებულია ადაპტირებული სველი წერტილი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლას სოციო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებებაში.სპორტული დარბაზი, ღია მოედანი, ეზოს სივრცე და ბიბლიოთეკა იძლევა სხვადასხვა სახის ღონისძიებების, კონფერენციების, კონკურსებისა და ინტელექტუალური

ვიქტორინების ჩატარების შესაძლებლობას. კომპიუტერული ლაბორატორია მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ ციფრულ/ინტეგრირებული აქტივობები. საკლასო ოთახებში განთავსებულია სმარტ დაფები და სხვადასხვა სახის პროექტების ამსახველი თვალსაჩნოებები.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ინვენტარის შესყიდვის აქტები;
- „ ლაბორატორიით სარგებლობის წესი“-ბრძანება №25-26/004 02/09/2025 წ.;
- „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ბრძანება № 24-25/023 01/07/2024 წ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან და ეფექტურ წარმართვას. სკოლის შენობაში განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით, ინტერნეტით, 3D პრინტერებით, რობოტებით, 3D კალმებით,ვირტუალური რეალობის სათვალეებით, სმარტ დაფითა და სხვა რეგულარული გამოყენების ტექნიკით. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. გარდა ამისა, სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას და გამოყენებას. ადმინისტრაციის განმარტებით თითქმის ყველა პედაგოგის მიერ ხდება საგაკვეთილო სივრცეში სმარტ დაფების გამოყენება. სკოლას სარგებლობაში აქვს 87 კომპიუტერი, რომელთაგან ნაწილი დასაწყობებულია A ბლოკისათვის.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით, ისე რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ ასევე შემუშავებულია „ლაბორატორიით სარგებლობის წესი“ და „ბიბლიოთეკის დებულება“, მარეგულირებელი დოკუმენტები განსაზღვრავს აღნიშნული სივრცეებისა და რესურსების სარგებლობის პრინციპებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარის შესყიდვის აქტები;
- „ ლაბორატორიით სარგებლობის წესი“-ბრძანება №25-26/004 02/09/2025 წ.;
- „ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-ბრძანება № 24-25/023 01/07/2024 წ.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

გენერალური დირექტორის ბრძანებით № 25-26/005 02/09/2025 წ. დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი”. საქმისწარმოების წესში განსაზღვრულია დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და შენახვის ერთიანი პროცედურები. სკოლის მიერ

შემუშავებულ სპეციალურ ნომენკლატურაზე დაყრდნობით, დოკუმენტაცია კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად - შემოსული, გასული და შიდა კორესპონდენცია. დირექტორების მიერ გამოიცემა აკადემიური და მართვასთან დაკავშირებული ბრძანებები. ელექტრონულად შემოსულ და გასულ დოკუმენტაციაზე საქმისწარმოების წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წერილი შემოსულია/გასულია ორგანიზაციის ოფიციალურ მეილზე: admin@buckswood.ge და წერილის შინაარსიდან გამომდინარე, აუცილებელია მისი რეგისტრაცია სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლა ასევე იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - schoolbook.ge-ს, რომელშიც იტვირთება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენცია და ცნობები/ნიშნების ფურცელი. ხელშეკრულებების წარმოება ხდება ელექტრონულად ,signify პლატფორმის მეშვეობით. ბრძანებები სისტემატიზებულია და ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას აქვს აკინძული, დანომრილი, დალუქული და დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული სარეგისტრაციო ჟურნალები, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის სანდოობასა და მთლიანობას. ინახება როგორც დასაქმებულთა, ასევე მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში წარმოებულია ბუღალტრული დოკუმენტაცია. სკოლაში საქმიწარმოებას ახორციელებს აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი, რომლის ფუნქციებიც განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას - schoolbook.ge-ს, რომელშიც იტვირთება სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებები, შემოსული და გასული კორესპოდენცია და ცნობები/ნიშნების ფურცელი. ხელშეკრულებების წარმოება ხდება ელექტრონულად, signify პლატფორმის მეშვეობით. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eschool სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპონდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა admin@buckswood.ge სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ელექტრონული ფოსტა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს რეგისტრირებული პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში eSchool.emis.ge, რაც დასტურდება ვიზიტის პროცესში ვიზუალური დათვალიერებით. პროფილში ასახულია სკოლის იურიდიული და საგანმანათლებლო სტატუსის სრული მონაცემები: მისამართი, იურიდიული ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია. პროფილში შეყვანილია სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მოსწავლეთა და მათი კანონიერ წარმომადგენელთა მონაცემები. სისტემა გამოიყენება მოსწავლეთა მობილობის, ადმინისტრაციული განაწილების და საკონტაქტო ინფორმაციის განახლებისთვის. აღნიშნულ ბაზაში მუშაობაზე პასუხისმგებელია აკადემიურ საქმეთა კოორდინატორი.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა საქმიანობს „საქმისწარმოების წესით“ განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მარეგულირებელი უწყებებისთვის ანგარიშგებისა და ინფორმაციის მიწოდების პროცესის ეფექტურობას. სკოლა თანამშრომლობს შესაბამის რაიონულ საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, რომლის მეშვეობითაც წარმართავს კომუნიკაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან და მის დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებთან. აღნიშნული ურთიერთობა მოიცავს როგორც კონსულტაციებსა და ნებართვების შეთანხმებას, ასევე ინფორმაციის მიწოდებას ფინანსური, ადმინისტრაციული ან სტრუქტურული ხასიათის საკითხებზე.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ საქმისწარმოების წესი”-ბრძანება № 25-26/005 02/09/2025 წ.;
- schoolbook-თან გაფორმებული ხელშეკრულება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

კოლას აქვს ვებგვერდი - buckswood.ge ასევე, სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/buckswood.tbilisi, სასკოლო სიახლეები სისტემატურად ქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში, ასევე ვებგვერდზე განთავსებულია სასკოლო ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია. სკოლის ვებგვერდისა და სოციალური გვერდის მუდმივ მონიტორინგსა და განახლებას ახორციელებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. სოციალურ ქსელში შექმნილია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის ჯგუფები , სადაც ინტერაქციული სახით მუდმივად ხდება ინფორმაციის გაცვლა. სკოლის ვებგვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში https://buckswood.schoolbook.ge/, ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობებისა და მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სანდოა და მისი უტყუარობა დასტურდება სხვადასხვა ღონისძიებების, პროექტებისა და შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით. სკოლა უზრუნველყოფს, რომ მის საქმიანობასთან, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებას მიეწოდოს მხოლოდ სანდო და დამოწმებული წყაროებით

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლა უზრუნველყოფს უკუკავშირის მიღებასა და გაანალიზებას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისგან, მათ შორის მშობლების, მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლებისგან. უკუკავშირის მიღების პრაქტიკაში გამოიყენება რამდენიმე საკომუნიკაციო არხი: სოციალური ქსელები, ოფიციალური ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, ასევე პირისპირ შეხვედრები.

ამასთან სკოლას პრაქტიკაში დანერგილი აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, რომლის ანალიზის საფუძველზე მუდმივად ხდება პრევენციული ნაბიჯების გადადგმა. 2025-2026 სასწავლო წელს სკოლამ განახორციელა მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა, მშობელთა კმაყოფილების კვლევა და თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა. აღნიშნული კვლევებიდან მიღებული შედეგებიც სკოლის მიერ გამოიყენება სასაწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შესაბამისად სკოლა უზრუნველყოფს, რომ შემოსული ინფორმაცია გათვალისწინებულ იქნეს შემდგომ საქმიანობაში, რაც ხელს უწყობს სასკოლო პროცესების გაუმჯობესებასა და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ოფიციალური ვებგვერდი - buckswood.ge, რომელიც წარმოადგენს სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითად პლატფორმას. ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე და მოცემულია საჯარო მონაცემები სკოლის მისიის, ხედვის, ადმინისტრაციის, საგანმანათლებლო გარემოსა და აქტივობების შესახებ.

სკოლის შესახებ საბაზისო საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმაზეც - skolebi.emis.ge- ზე განთავსებულ პროფილში, რაც დამატებით უზრუნველყოფს სკოლის გამჭვირვალობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის მოქმედი ვებ-გვერდი buckswood.ge შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ამსახველი მასალა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარში და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი- buckswood.ge;
- სოციალური გვერდი- https://www.facebook.com/buckswood.tbilisi

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას გადადგინდა, რომ სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს. სკოლის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ფინანსური სამსახურის მიერ წარდგენილი ანგარიში, რომელიც ადასტურებს სკოლის ფინანსურ მდგრადობას. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს საგანმანათლებლო თუ მატერიალური რესურსებისათვის აუცილებელ თანხებს, მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერისთვის საჭირო ფინანსებს და სკოლის მიერ გასაწევ სხვა ხარჯებს, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის. სკოლის ძირითადი შემოსავალია მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას ყავს ფინანსური სამსახური, სამსახურის შიგნით ფუნქციები გადანაწილებულია და განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. გენერალური დირექტორის, აკადემიური დირექტორის, ფინანსური დირექტორის, მთავარი ბუღალტრის, ფინანსური მენეჯერისა და ბუღალტრის სამსახურებრივი ფუნქციები ითვალისწინებს ბიუჯეტის შედგენის, განკარგვის, პროცესის მონიტორინგისა და შედეგების შეფასების სამუშაოებს.სკოლას გააჩნია ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომლის შესრულების და მონიტორინგის პროცესი მუდმივად ხორციელდება.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი -2025-2026 ს/წ.;
- ფინანსური ანგარიშგება;
- ფინანსური სამსახურის სტრუქტურული ერთეულების სამსახურეობრივი ანგარიშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი 19/08/02026წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: